



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

# პოლიტიკის ნარკვევი

ივლისი 2024 / გამოცემა #61

## ცვლილებები უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმში: შედეგები საქართველოსთვის და რეაგირების სტრატეგია

თათია დოლიძე<sup>1</sup>

### მოკლე შინაარსი

ევროკავშირის უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმი არის მარეგულირებელი ინსტრუმენტი, შექმნილი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მესამე ქვეყნები, რომლებიც სარგებლობენ შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლით, იცავდნენ დათქმულ პირობებს. ევროკომისიამ ახლახან წარმოადგინა ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს შეჩერების მექანიზმის ამოქმედებისათვის უფრო მაღალი სტანდარტის დაწესებით, მისი ეფექტურობის გაძლიერებას. წარმოდგენილი პოლიტიკის ნარკვევი აფასებს შემოთავაზებული ცვლილებების პოტენციურ ზეგავლენას საქართველოზე.

ევროკავშირის წევრი შენგენის 25 ქვეყნის ევროსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ეს დოკუმენტი ანალიზებს თავშესაფრის განმცხადებლების, შესვლაზე უარების შემთხვევებისა და შენგენის ზონაში უკანონოდ ყოფნის სტატისტიკას. ხი-კვადრატის ტესტი ადარებს საქართველოს მონაცემებს როგორც არსებულ, ისე ახლად შემოთავაზებულ ზღვრებს და ავლენს ვიზის შეჩერების მექანიზმის ამოქმედების მნიშვნელოვნად გაზრდილ ალბათობას ახალი კრიტერიუმების მიხედვით ოთხი კატეგორიიდან სამში. რაც შეეხება შეჩერების გაფართოებულ კრიტერიუმებს, ევროკომისიის ვიზის შეჩერების მექანიზმის უახლესი ანგარიშისა და ქვეყანაში განვითარებული ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენების შეფასების საფუძველზე, ნაშრომში მათ განსაზღვრავს საქართველოსთვის

<sup>1</sup> თათია დოლიძე - ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პრეფესორი.

მნიშვნელოვან გამოწვევად, განსაკუთრებით საგარეო ურთიერთობების, ფუნდამენტურ უფლებებისა და ევროკავშირის სავიზო პოლიტიკასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საქართველოს ხელისუფლების მიმართ რეკომენდაციები ხაზს უსვამს დაუყოვნებელი და მიზანმიმართული ქმედებების საჭიროებას ვიზის შეჩერების მექანიზმის განახლებულ სტანდარტებთან შესატყვისობის უზრუნველსაყოფად. ეს გულისხმობს, დიპლომატიური ძალისხმევის გაძლიერებას, საკამათო კანონების გადახედვას, მონიტორინგის და ანგარიშგების სისტემების გაძლიერებას, ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარებას, სასაზღვრო კონტროლის გაუმჯობესებასა და სავიზო პოლიტიკების შესაბამისობაში მოყვანას.

**საკვანძო სიტყვები:** *უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმი; ევროკავშირის სავიზო პოლიტიკა; შენგენის ზონა; საქართველო; უვიზო მიმოსვლა; არარეგულარული მიგრაცია.*

## შესავალი

შენგენის ზონაში მესამე ქვეყნის მოქალაქეების უვიზო მიმოსვლა ხელს უწყობს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ გაცვლებს, თუმცა ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის წარმოშობს რიგ გამოწვევებს, როგორცაა არარეგულარული მიგრაცია, დაუსაბუთებელი განაცხადები თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ და პოტენციური რისკები საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის. ამ საკითხების მოსაგვარებლად 2013 წელს *ევროკავშირის რეგულაციით 1289/2013* (European Parliament and Council of the European Union, 2013) შემოღებულ იქნა სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმი, რომელიც მოგვიანებით ჩაანაცვლა *რეგულაციამ 2018/1806* (European Parliament and Council of the European Union, 2018). ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმი უზრუნველყოფს ჩარჩოს უვიზო რეჟიმის დროებითი შეჩერებისთვის მაშინ, როდესაც მესამე ქვეყნები ვერ აკმაყოფილებენ კონკრეტულ პირობებს. ვიზის შეჩერების მექანიზმი ორჯერ იქნა ამოქმედებული: 2019 წლის მაისში ალბანეთის წინააღმდეგ, ნიდერლანდების მთავრობის შეტყობინებით, უსაფუძვლო თავშესაფრის მოთხოვნებისა და მძიმე დანაშაულების ზრდის საფუძველზე, და მეორედ 2022 წელს ვანუატუსთვის, თავად კომისიის მიერ, ინვესტორთა მოქალაქეობის სქემიდან მომდინარე უსაფრთხოების რისკებიდან გამომდინარე (Balakrishnan, 2023). პირველი მოთხოვნა კომისიამ უარყო არასაკმარისი მტკიცებულებების გამო (Bajrami, 2019), ხოლო

მეორე შემთხვევას მოჰყვა უვიზო მიმოსვლის რეჟიმის სრული შეჩერება (Council of the European Union, 2022).

## ცვლილებები უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმში

2023 წლის ოქტომბერში ევროკომისია გამოვიდა შეთავაზებით, მომხდარიყო რეგულაცია (EU) 2018/1806-ის გადახედვა უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის გასაძლიერებლად. საბჭომ მიიღო მოლაპარაკებების მანდატი 2024 წლის მარტში, ხოლო ევროპარლამენტის ანგარიშის პროექტი წარმოდგენილ იქნა 2024 წლის თებერვალში (Dumbrava, 2024). ახლა, როდესაც 2024 წლის ივნისის ევროპარლამენტის არჩევნები დასრულდა, საბოლოო გადაწყვეტილება მალევე მიიღება პარლამენტსა და საბჭოს შორის ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურის ფარგლებში გაგრძელებული მოლაპარაკებების შედეგად. ეს პროექტი, მისი მიღების შემთხვევაში, გააძლიერებს ევროკავშირის შესაძლებლობას, წინ აღუდგეს სიტუაციებს, როდესაც უვიზო მიმოსვლა ბოროტად გამოიყენება ან ეწინააღმდეგება ევროკავშირის ინტერესებს. კანონპროექტი მოიცავს ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმის გამკაცრებისკენ მიმართულ რამდენიმე ძირითად ცვლილებას:

- **შეჩერების გაფართოებული საფუძველი:** განახლებული მექანიზმი მოიცავს ჰიბრიდულ საფრთხეებს, როგორცაა მიგრანტების ინსტრუმენტალიზაცია, ინვესტორების მოქალაქეობის სქემები და მესამე ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის სავიზო პოლიტიკის შეუსაბამობის შემთხვევები. აღნიშნულში შედის ევროკავშირთან ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების ან საერთაშორისო სამართლის დარღვევათა გამო.
- **დაკორექტირებული შეჩერების ზღვრები:** შესვლაზე უარის შემთხვევებზე, დარჩენის გადაცდომასა და დაუსაბუთებელ თავშესაფრის მოთხოვნებზე დადგენილი დასაშვები ზღვარი გამკაცრდა და იკლო 50%-დან 30%-მდე, ხოლო აღიარების მაჩვენებლის მინიმალურმა დასაშვებმა ზღვარმა იმატა 20%-მდე, ნაცვლად 4%-სა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მოთხოვნათა დაკმაყოფილებას და შესამისად, გზას უხსნის შეჩერების მექანიზმის ამოქმედებას.

გარდა ამისა, განახლებული შეჩერების მექანიზმი აფართოებს თავდაპირველი შეჩერების ფაზას 9-დან 12 თვემდე და იძლევა გახანგრძლივების საშუალებას 24 თვემდე (წინა სისტემით გათვალისწინებული 18 თვის ნაცვლად). ამ შეჩერების ფაზის განმავლობაში,

ევროკომისია ერთვება დიალოგში მესამე ქვეყანასთან, რათა გადაჭრას და გამოასწოროს ის საკითხები, რომლებმაც გამოიწვია შეჩერება. თუ ვერ იძებნება გამოსავალი სიტუაციის გამოსასწორებლად, ევროკავშირს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება უვიზო მიმოსვლის რეჟიმის სამუდამო გაუქმების შესახებ.

ეს ცვლილებები მიზნად ისახავს, ევროკავშირმა გააძლიეროს უნარი, უპასუხოს უვიზო მიმოსვლის ბოროტად გამოყენებას და უზრუნველყოს ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა. დაწესებული ზღვრები გულისხმობს, რომ მექანიზმის გასააქტიურებლად ნაკლები დარღვევა იქნება საჭირო.

## უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის განახლებულ ზღვრებთან საქართველოს მონაცემების შესაბამისობის შესაფასებელი მეთოდოლოგია

საქართველოს მიერ უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შეჩერების მექანიზმის განახლებული ზღვრების შესაბამისობის გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა ევროსტატის მონაცემები. აქცენტი კეთდება 25 ევროკავშირის შენგენის ქვეყანაზე, რაც უზრუნველყოფს რელევანტურობას ვიზის შეჩერების მექანიზმთან, რომელიც ეხება უვიზო მიმოსვლის ბოროტად გამოყენებას კონკრეტულად ამ სივრცეში. შენგენის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები (ლიხტენშტაინი, ნორვეგია, ისლანდია, შვეიცარია) და პირიქით, ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან შენგენის ზონაში (ირლანდია და კვიპროსი) გამოტოვებულია ამ ანალიზიდან, რადგან ისინი არ არიან ვიზის შეჩერების მექანიზმის მოქმედების არეალში. მონაცემები მოპოვებულია ევროსტატიდან და მოიცავს სტატისტიკას თავშესაფრების განმცხადებლების, პირველი ინსტანციის დადებითი გადაწყვეტილებების, შესვლაზე უარის და უკანონო ყოფნის შესახებ. ევროსტატის მონაცემები იწარმოება ყოველთვიური, კვარტლური ან ყოველწლიური სიხშირით, რაც საჭიროებს ანალიზის სხვადასხვა მეთოდოლოგიურ მიდგომას:

(I) იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომია ყოველთვიური მონაცემები, შედარება ხდება უახლესი წლის ნებისმიერი ორი თვის კონფიგურაციებისა (ამ შემთხვევაში, 2024 წლის იანვარ-აპრილი) (ა) წინა წლის იმავე პერიოდთან ( 2023 წლის იანვარ-აპრილის ორი თვის კონფიგურაციებთან) და (ბ) სავიზო მოთხოვნის გაუქმებამდე ორი თვით ადრე პერიოდთან (2017 წლის იანვარი-თებერვალი საქართველოსთვის). ზღვრებთან მიმართებით შედარებისა

და ანალიზის ეს პრინციპი მომდინარეობს უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შეჩერების მექანიზმის განახლებული რეგულაციის მე-8 მუხლიდან (*COM(2023) 642 final*) (Council of the European Union, 2023).

(II) სადაც მონაცემები კვარტალურად არის მოცემული, ანალიზი ადარებს 2024, 2023 და 2017 წლების პირველ კვარტლებს, იმავე ლოგიკით.

(III) წლიური მონაცემების შემთხვევაში, ანალიზი ადარებს 2023, 2022 და 2016 წლებს. ამ კონტექსტში, 2023 წელი წარმოადგენს ბოლო სრულ წელს, ხოლო 2016 წელი - უკანასკნელ წელს ვიზალიბერალიზაციამდე. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ანალიზი ტარდება 2024 წლის შუა პერიოდში, 2024 წლის წლიური მონაცემები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, 2017 წლის წლიური მონაცემების გამოყენება არამართებული იქნებოდა, რადგან საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაცია ამოქმედდა 2017 წლის მარტიდან.

ყველა შეგროვებული მონაცემი შედარებულია შეჩერების მექანიზმის მიერ დადგენილ არსებულ და კორექტირებულ ზღვრებთან. კონკრეტულად, თავშესაფარზე განაცხადების ზრდა, შემოსვლაზე უარის მაჩვენებლები და უკანონო ყოფნის შემთხვევები გაანალიზებულია სამიზნე წლების განმავლობაში, რათა დადგინდეს, აღემატება თუ არა ისინი 50%-იან (მიმდინარე) და 30%-იან (შემოთავაზებულ) ზღვრებს, ხოლო თავშესაფრის აღიარების მაჩვენებელი შედარებულია 4%-იან (მიმდინარე) და 20%-იან (შემოთავაზებული) ზღვრებს. გარდა ამისა, ტარდება ხი-კვადრატის ტესტები პროპორციებისთვის, რათა შეფასდეს მონაცემებს შორის არსებული განსხვავებების სტატისტიკური მნიშვნელოვნელობა არსებული და შემოთავაზებული ზღვრების კონტექსტში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს დეტალურ შეფასებას, თუ როგორია ევროკავშირის ტერიტორიით შემოფარგლულ შენგენის ზონაში საქართველოს უვიზო რეჟიმის მდგომარეობა, ვიზის შეჩერების მექანიზმის არსებული და განახლებული კრიტერიუმების კონტექსტში .

## ძირითადი მიგნებები მონაცემთა ანალიზიდან

*I) ევროკავშირის წევრი შენგენის ზონის ქვეყნებში ქართველი თავშესაფრის მაძიებლები - თვიური მონაცემების შედარება წლების მიხედვით*

ევროკავშირის წევრი შენგენის ზონის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების თავშესაფრის განაცხადების ტენდენციების ანალიზმა, ახსნილი მეთოდოლოგიის მიხედვით, გამოავლინა


შემდეგი: 2024 წლის იანვარი-თებერვლის შედარებისას 2023 წლის იანვარ-თებერვალთან, 25-დან 8 ქვეყანამ გადააჭარბა 30%-იან, ხოლო 5-მა ქვეყანამ 50%-იან ზღვარს. მსგავსად, 2024 წლის თებერვალი-მარტის შედარებისას 2023 წლის შესაბამის თვეებთან, 25-დან 10 ქვეყანა გასცდა 30%-იან, ხოლო 6 ქვეყანა 50%-იან ნიშნულს.

2024 წლის იანვარ-თებერვალთან 2017 წლის იანვარ-თებერვალის შედარებისას, 25 ქვეყნიდან 9 ქვეყანამ გადააჭარბა 30%-იან ბარიერს, ხოლო ხუთმა - 50%-ს. 2024 წლის თებერვალ-მარტისა და 2017 წლის იანვარ-თებერვლის შედარებისას, 25 ქვეყნიდან ათი გასცდა 30%-იან, ხოლო 5 კი 50%-იანი ზღვარს. ანალოგიურად, 2024 წლის მარტ-აპრილის მონაცემების 2017 წლის იანვარ-თებერვალის მონაცემებთან დადარებით გამოჩნდა, რომ 25 ქვეყნიდან 9 ქვეყანა გადასცდა 30%-იან ნიშნულს, მაშინ როცა 50%-იანის შემთხვევაში გადასცდა 7. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტი ქვეყანა აჭარბებს დაკორექტირებულ 30%-იან ზღვარს 50%-იან ზღვართან შედარებით, ხი-კვადრატის ტესტებმა აჩვენა, რომ ეს ზრდა არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ამ ტესტებისთვის p-მნიშვნელობები აღემატებოდა 0,05-ს, რაც არ მიუთითებს არსებით განსხვავებაზე პროპორციებში.

ევროკავშირის წევრი შენგენის ზონის ქვეყნებში ქართველი თავშესაფრის მაძიებლების სტატისტიკური ანალიზი მიუთითებს, რომ მართალია დაბალი ზღვარი ზრდის მგრძობელობას იმ თვალსაზრისით, რომ უფრო მეტ ქვეყანას აძლევს მიზეზს, რომ პოტენციურად გაააქტიურონ შეჩერების მექანიზმი საქართველოსთვის, მაგრამ მან მნიშვნელოვნად მაინც არ უნდა შეცვალოს საერთო სურათი ვიზის შეჩერების მექანიზმის ამოქმედების კონტექსტში.

*ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც აღემატება 30%-იან და 50%-იან ზღვრებს თავშესაფრის მაძიებელი ქართველების მიხედვით.*

*(ყვითელი სვეტი აღნიშნავს ქვეყნებს, სადაც უსაფუძვლო განაცხადების რაოდენობა 30%-იანი ზღვარს აღემატება, ხოლო სტაფილოსფერი - სადაც 50%-იან ზღვარს აღემატება.)*



*წყარო: Eurostat, [Asylum applicants by type, citizenship, age and sex - monthly data](#) (Eurostat 2024a)*

**II) პოზიტიური გადაწყვეტილებების წილი საქართველოს მოქალაქეების თავშესაფრის მოთხოვნის თაობაზე (დადასტურების მაჩვენებელი) - კვარტლური მონაცემების დადარება წლების მიხედვით**

ევროკავშირის ტერიტორიაზე შენგენის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების თავშესაფრის განაცხადების აღიარების მაჩვენებლების შესწავლა სამი განსხვავებული კვარტლური პერიოდის განმავლობაში ასახავს საქართველოს ვიზალიბერალიზაციის სტატუსის მნიშვნელოვან გამოწვევებს.

ამჟამინდელი 4%-იანი ზღვარის კონტექსტში, 2017 წლის პირველ კვარტალში 22 ქვეყნიდან 10-ს ჰქონდა თავშესაფრის მაძიებლებისთვის აღიარების მაჩვენებლების 4%-ზე მაღალი

მაჩვენებელი. 2023 წლის I კვარტლისათვის ეს რიცხვი მხოლოდ 5 ქვეყანაზე ჩამოვიდა. 2024 წლის I კვარტალში საქართველოს მოქალაქეების თავშესაფრის მოთხოვნის აღიარების მაჩვენებლები ამ ზღვარზე დაბალი იყო შესწავლილი 22 ქვეყნიდან 19-ში. ეს ტენდენცია ასახავს წლების განმავლობაში იმ ქვეყნების რაოდენობის მკვეთრ შემცირებას, რომლებიც აკმაყოფილებენ 4%-იან ბარიერს. შესაბამისად, უფრო და უფრო ბევრ ქვეყანას აქვს საფუძველი პოტენციურად გაააქტიუროს უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმი თავშესაფრის განაცხადებზე აღიარების დაბალი მაჩვენებლების გამო.

შემოთავაზებულ 20%-იან ზღვართან დაკავშირებით, 2017 წლის პირველ კვარტალში, 22 ქვეყნიდან არცერთს არ ჰქონდა 20%-ზე მაღალი აღიარების მაჩვენებელი. ეს სიტუაცია უცვლელი დარჩა 2023 წლის პირველ კვარტალშიც - არცერთი ქვეყანა არ აკმაყოფილებდა 20%-იან ზღვარს. 2024 წლის პირველ კვარტალში, 22 ქვეყნიდან მხოლოდ 2-ს ჰქონდა აღიარების მაჩვენებელი, რომელიც ამ ზღვარს უახლოვდებოდა. ეს სხვაობა ხაზს უსვამს მნიშვნელოვან განსხვავებას არსებულ აღიარების მაჩვენებლებსა და შემოთავაზებულ 20%-იან სტანდარტს შორის, რაც მიუთითებს ვიზების შეჩერების მექანიზმის ამოქმედების მნიშვნელოვან რისკზე ზღვრის გაზრდის შემთხვევაში.


ანალიზი ავლენს ევროკავშირის ტერიტორიაზე შენგენის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების თავშესაფრის განაცხადების აღიარების მაჩვენებლების თანმიმდევრულ შემცირებას შესწავლილ პერიოდებში. ეს კლება განსაკუთრებით შემამფოთებელია აღიარების მაჩვენებლის ზღვრის 4%-დან 20%-მდე გაზრდის შემოთავაზებულ კონტექსტში. თუ ახალი ზღვარი დაინერგება, ვიზის შეჩერების მექანიზმის ამოქმედების ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება, რადგან ამჟამინდელი აღიარების მაჩვენებლების უმეტესობა 20%-ზე გაცილებით დაბალია. ხი-კვადრატ ტესტის შედეგები, დაახლოებით 0.047 p-მნიშვნელობით, მიუთითებს, რომ განსხვავება 4%-იან ზღვარს ქვემოთ მყოფი ქვეყნების რაოდენობასა და იმ ქვეყნების რაოდენობას შორის, რომლებიც 20%-იან ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდებოდნენ, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ამგვარად, ეს სტატისტიკური ანალიზი ადასტურებს, რომ აღიარების მაჩვენებლებს შორის განსხვავებები არსებული და განახლებული ზღვრების პირობებში საყურადღებოა, რაც ხაზს უსვამს პოტენციურ უარყოფით გავლენას საქართველოს მოქალაქეების თავისუფალ გადაადგილებაზე ევროკავშირში.



*ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც აქვთ აღიარების მაჩვენებლების 4%-სა და 20%-ზე მაღალი მაჩვენებელი;*

*(ლორჯი - 4%-ზე მაღალი ზღვარი და წითელი - 20%-ზე მაღალი ზღვარი.)*



*წყარო: Eurostat; First instance decisions on applications by type of decision, citizenship, age and sex - quarterly data (Eurostat 2024b)*

**III) ევროკავშირის შენგენის საზღვარზე საქართველოს მოქალაქეებისთვის შესვლაზე უარის შემთხვევები – წლიური მონაცემების შედარება წლების მიხედვით**

სამიზნე წლებში ევროკავშირის საზღვრებზე საქართველოს მოქალაქეებისთვის შესვლაზე უარის თქმის რაოდენობის ცვლილებების წლიური მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ ვიზალიბერალიზაციამ წლების განმავლობაში ბევრ ქვეყანაში გამოიწვია საქართველოს მოქალაქეებისთვის შესვლაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი ზრდა.

2022-დან 2023 წლამდე მოკლევადიანი ცვლილებების კონტექსტში, შვიდმა ქვეყანამ გადააჭარბა 30%-იან ზღვარს (ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ლატვია, უნგრეთი, სლოვენია, სლოვაკეთი), ხოლო სამმა - 50%-იანს (ბელგია, სლოვენია, სლოვაკეთი).

2016-დან 2023 წლამდე გრძელვადიანი ცვლილებების შესწავლით დგინდება, რომ ჩვიდმეტმა ქვეყანამ გადააჭარბა როგორც 30%-იან, ისე 50%-იან ზღვარს.


იმის დასადგენად, არის თუ არა განსხვავება 30%-იან და 50%-იან ზღვრებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ჩატარდა ხი-კვადრატის ტესტი. მოკლევადიან ცვლილებებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ: 30%-ზე მეტი უარი იყო 7 ქვეყანაში, არაუმეტეს 30%-სა - 18 ქვეყანაში, 50%-ზე მეტი - 3 ქვეყანაში და არაუმეტეს 50%-სა - 22 ქვეყანაში. მოკლევადიანი ცვლილების ხი-კვადრატის ტესტმა აჩვენა 0,032 p-მნიშვნელობა, რაც მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებაზე.

გრძელვადიან ცვლილებებზე დაკვირვებების შედეგი იყო: 30%-ზე მეტი 17 ქვეყანაში, არაუმეტეს 30% - 8 ქვეყანაში, 50%-ზე მეტი 17 ქვეყანაში და არაუმეტეს 50%-სა - 8 ქვეყანაში. გრძელვადიანი ცვლილების ხი-კვადრატის ტესტმა აჩვენა p-მნიშვნელობა დაახლოებით 0,0005, რაც აგრეთვე მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებაზე.

ანალიზი ხაზს უსვამს, რომ იმ ქვეყნების რაოდენობას შორის, რომლებიც აჭარბებენ 30%-იან ან 50%-იან ზღვრებს, არის მნიშვნელოვანი სხვაობა. ხი-კვადრატის ტესტის შედეგები როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან ცვლილებებზე დაკვირვების შემთხვევაში ადასტურებს, რომ განსხვავებები სტატისტიკურადაც მნიშვნელოვანია. ახალი 30%-იანი ზღვრით, ქვეყნების ორჯერ მეტმა რაოდენობამ (შვიდმა) შეიძლება პოტენციურად მოითხოვოს შეჩერების მექანიზმის ამოქმედება, ახლანდელ 50%-იან ზღვართან შედარებით (სამი). ეს მიუთითებს, რომ განახლებული ზღვარი საქართველოსთვის გულისხმობს უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის უფრო ფართო პოტენციურ აქტივაციას შესვლაზე უარის თქმის მუდმივად მაღალი მაჩვენებლების გამო.

*ქვეყნების რაოდენობა, სადაც ევროკავშირის საზღვარზე საქართველოს მოქალაქეებისთვის უარის თქმის მაჩვენებელი აჭარბებს 30%-ს და 50%-ს;*

*(ღურჯი სვეტი ასახავს მოკლევადიან პერიოდს; ხოლო წითელი - გრძელვადიანს.)*



*წყარო: Eurostat; Third country nationals refused entry at the external borders - annual data (rounded) (Eurostat 2024c)*

**IV) ევროკავშირის ტერიტორიაზე შენგენის ზონაში არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეები - წლიური მონაცემების შედარება წლების მიხედვით**

ინტერესის ბოლო კატეგორია, გამკაცრებული ზღვრების კონტექსტში, არის საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც უკანონოდ იმყოფებოდნენ ევროკავშირის ტერიტორიაზე შენგენის ზონაში 2016 წელს (ვიზა ლიბერალიზაციამდე), 2022 და 2023 წლებში (უახლესი მონაცემები). 2023 წლის შედარება 2022 წელთან (მოკლევადიანი) და 2016 წელთან (გრძელვადიანი) ცხადყოფს მნიშვნელოვან ტენდენციებს.


მოკლევადიან პერსპექტივაში, ათმა ქვეყანამ გადააჭარბა 30%-იან ზღვარს, ხოლო ხუთმა გადააჭარბა 50%-იანს. გრძელვადიანი მონაცემები აჩვენებს, რომ თხუთმეტმა ქვეყანამ გადააჭარბა 30%-იან ზღვარს, 50%-იანი ზღვრის შემთხვევაში დაფიქსირებულ ათ ქვეყანასთან შედარებით.

იმის დასადგენად, არის თუ არა განსხვავება 30%-იან და 50%-იან ზღვრებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ჩატარდა ხი-კვადრატ ტესტები. მოკლევადიანი მონაცემები აჩვენებს ამ ზღვარს გადაჭარბებული ქვეყნების უფრო მაღალ რაოდენობას (10 და 5), რაც უახლოვდება სტატისტიკურ მნიშვნელობას ( $p \approx 0.068$ ). გრძელვადიანი მონაცემები აჩვენებს მნიშვნელოვან ზრდას 2016 წლიდან (15 და 10), თუმცა არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანს ( $p \approx 0.11$ ).

ანალიზის შედეგების მიხედვით, მეტად სავარაუდოა, რომ 30%-იანი ბარიერი გამოიწვევს ვიზის შეჩერების მექანიზმის ამოქმედებას, რაც ხაზს უსვამს, საქართველოს მიერ უკანონო დარჩენების მაჩვენებლის რაოდენობების დარეგულირების საჭიროებას უვიზო რეჟიმის შესანარჩუნებლად.

*გრაფიკი ასახავს ქვეყნების რაოდენობას, სადაც ფიქსირდება 30% და 50%-ზე მაღალი მაჩვენებელი ევროკავშირში არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეებისა.*

*(მწვანე სვეტი ასახავს მოკლევადიან პერიოდს; ხოლო წითელი - გრძელვადიანს.)*



*წყარო: Eurostat; Third country nationals found to be illegally present - annual data (rounded) (Eurostat 2024d)*

## შეჩერებისა გაფართოებული საფუძვლები და პოტენციური საფრთხეები საქართველოსთვის

გარდა ზღვრების კორექტირებისა, უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის გადახედვისას გაფართოებულ იქნა შეჩერების საფუძვლები. აღნიშნული სხვა საკითხებს შორის მოიცავს მესამე ქვეყნის ევროკავშირთან ურთიერთობის მნიშვნელოვან და მკვეთრ გაუარესებას, განსაკუთრებით ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებულ შემთხვევებში.

საფუძვლის მსგავსი გაფართოება პოტენციურ საფრთხეს უქმნის საქართველოს, განსაკუთრებით ახლახან მიღებული “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონის გათვალისწინებით. ეს წინააღმდეგობრივი კანონი ავალდებულებს არასამთავრობო ორგანიზაციებს და დამოუკიდებელ მედიას, რომლებიც თავიანთი დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოელი დონორებისგან იღებენ, რომ დარეგისტრირდნენ როგორც უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციები (Bayer, 2024). კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს კანონი შეიძლება გამოყენებულ იქნას სამოქალაქო თავისუფლებების დასათრგუნად და პარალელურად ავლებენ რუსეთის მსგავს კანონმდებლობასთან, რომელიც ემსახურება განსხვავებული აზრის ჩახშობას. ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანამ უკვე გააჟღერა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერების თაობაზე ზომების მიღების აუცილებლობა, რათა ამ გზით აიძულონ საქართველოს მთავრობა, გადახედოს თავის პოზიციას ე.წ. „უცხოური აგენტების“ კანონთან დაკავშირებით (ETIAS, 2024).

უფრო მეტიც, ევროკომისიის უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის მეექვსე ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველო სრულად არ ითვალისწინებს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცედურასთან დაკავშირებით (European Commission, 2023b). კომისია ხაზს უსვამს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კეთილსინდისიერების დამატებითი შემოწმებისა და საქმიანობის შეფასების შესახებ კანონმდებლობის მიღებისა და განხორციელების აუცილებლობას. თუმცა, საქართველოს სრულად არ შეუსრულებია ვენეციის კომისიის რეკომენდაციები „საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის“ ჭრილში და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად არ დაუწყია მოსამართლეთა კეთილსინდისიერების დამატებითი შემოწმებისთვის კანონმდებლობის მომზადება. ამ სფეროში პროგრესის ნაკლებობა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც კანონის უზენაესობისა და სასამართლო სისტემის

დამოუკიდებლობის კუთხით გაუარესება, რაც კიდევ უფრო საფრთხეს უქმნის საქართველოს უვიზო მიმოსვლის პრივილეგიებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ საკონსტიტუციო კანონპროექტი “ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ”, რომელიც ფართოდ არის აღქმული, როგორც ანტი-LGBTQ პოლიტიკის ნაწილი. ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა მოსაზრება ამ პროექტთან დაკავშირებით, სადაც ხაზგასმულია, რომ ის ახდენს LGBTI პირთა დისკრიმინაციას და არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (Civil.ge, 2024). მმართველმა პარტიამ ვენეციის კომისიის ანგარიში განმარტა როგორც ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაციის მხარდაჭერა, რასაც ისინი მტკიცედ ეწინააღმდეგებიან (Interpressnews, 2024).

ცვლილებების შეტანის გარეშე, “უცხოური აგენტების შესახებ“ კანონის, “საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონისა “ და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონის“ მიერ გაწერილი საკანონმდებლო ზომები შეიძლება ევროკავშირის მიერ აღქმულ იქნას დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დარღვევად. შედეგად, შეჩერების გაფართოებული საფუძვლების გათვალისწინებით, ევროპულ ღირებულებებთან ამგვარმა შეუსაბამობამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ამოქმედება.

შეჩერების კიდევ ერთი საფუძველი, განახლებული მეთოდოლოგიის მიხედვით, არის ევროკავშირის სავიზო პოლიტიკასთან შეუსაბამობა. აღნიშნული ეფუძნება შეხედულებას, რომ ევროკავშირის სავიზო პოლიტიკასთან არასაკმარისმა შესაბამისობამ შეიძლება უვიზო რეჟიმის მქონე ქვეყანა აქციოს ევროკავშირში არალეგალური შესვლების სატრანზიტო ცენტრად (ევროკომისია, 2023a). ევროკომისია მნიშვნელობას ანიჭებს სავიზო პოლიტიკაში თანხვედრის არსებობას ევროკავშირის ვიზასავალდებულო მესამე ქვეყნების სიასთან, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებიც ევროკავშირში არალეგალური მიგრაციისა და უსაფრთხოების რისკებს წარმოადგენენ. ევროკომისიის უახლესი ანგარიშის მიხედვით, ვიზის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში, 2022 წლის მდგომარეობით, საქართველო ინარჩუნებდა უვიზო რეჟიმს 24 ქვეყანასთან, რომლებიც ევროკავშირის ვიზასავალდებულო ქვეყნების სიაშია, მათ შორის სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელარუსთან, ირანთან, რუსეთსა და სხვებთან, და არ მიუღწევია პროგრესისთვის თავისი სავიზო პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. შეჩერების გაფართოებული ფარგლების გათვალისწინებით, ამ შეუსაბამობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ვიზის შეჩერების მექანიზმის ამოქმედებას.

შესაბამისად, ვიზალიბერალიზაციის შეჩერების გაფართოებული საფუძვლები უფრო სავარაუდოს ხდის, რომ ევროკავშირმა მიიღოს ზომები საქართველოს წინააღმდეგ, თუ სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდება. ამრიგად, განახლებული შეჩერების მექანიზმის გაფართოებული კრიტერიუმები და პროცედურები წარმოადგენენ ხელშესახებ რისკს საქართველოს უვიზო მიმოსვლის პრივილეგიებისთვის, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე.

## დასკვნა და რეკომენდაციები

ევროკავშირის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმში შემოთავაზებული ცვლილებები აწესებს უფრო მკაცრ ზღვრებს და აფართოებს შეჩერების საფუძველს, რაც მნიშვნელოვნად აისახება საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლაზე შენგენის ზონაში ევროკავშირის შიგნით. კერძოდ, პრობლემატურია აღიარების მაჩვენებლის ზღვრის შემოთავაზებული გაზრდა 4%-დან 20%-მდე და თავშესაფრის განაცხადების, შესვლაზე უარის და უკანონო ყოფნის ზღვრების შემცირება 50%-დან 30%-მდე, რადგან ამჟამინდელი მაჩვენებლების უმეტესობა ამ ახალ სტანდარტებისგან განსხვავებულია. ოთხიდან სამ კატეგორიაში, სტატისტიკური ტესტები ადასტურებს ამ განსხვავებების მნიშვნელობას არსებულ და განახლებულ ზღვრებს შორის, რაც ხაზს უსვამს ამ საკითხების გადასაჭრელად დაუყოვნებელი და მიზანმიმართული ქმედებების აუცილებლობას. აგრეთვე, შეჩერების გაფართოებული საფუძველი - მათ შორის, ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებული ევროკავშირთან ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება და ევროკავშირის სავიზო პოლიტიკასთან შეუთანხმებლობა - კიდევ უფრო ზრდის შეჩერების რისკს. ამასთან, ამ რისკს აძლიერებს ბოლოდროინდელი საკამათო საკანონმდებლო ცვლილებებიც.

შეჩერების მექანიზმის შესახებ ევროკომისიის მეექვსე ანგარიშის (ევროპის კომისია 2023b) ფარგლებში ხაზგასმულია ის სფეროები, რომლებშიც საქართველოს სჭირდება წინსვლა, მათ შორის ზემოთ ხსენებული გამოწვევების ჭრილში.

წარმოდგენილი რეკომენდაციები ეყრდნობა ევროსტატის მონაცემების ანალიზსა და ხსენებულ ანგარიშს, და მიზნად ისახავს ამ პრობლემების პრაქტიკულ გადაჭრას. შემდეგი პროაქტიული ნაბიჯების გადადგმით, საქართველოს შეუძლია მონაცემები თანხმობაში

მოიყვანოს შეჩერების მექანიზმის განახლებულ კრიტერიუმებთან, შეასუსტოს ევროკავშირის შემფოთება და დაიცვას უვიზო მიმოსვლის პრივილეგიები ევროკავშირის ტერიტორიაზე, შენგენის ზონაში.

1. **დიპლომატიური ძალისხმევის გაძლიერება:** ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან პროაქტიულ და გამჭვირვალე დიპლომატიურ დიალოგებში ჩართვა მიგრაციასთან, თავშესაფრის განაცხადებსა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად. რეკომენდირებულია მაღალი დონის რეგულარული შეხვედრები და ერთობლივი სამუშაო ჯგუფების შექმნა, რათა მოხდეს წამოჭრილი საკითხების მონიტორინგი და მათზე რეაგირება.
2. **საკანონმდებლო ცვლილებები:** გადახედვა და შეცვლა საკამათო კანონებისა, როგორცაა „უცხოური ზეგავლენის კანონი“, ორგანული კანონი “საერთო სასამართლოების შესახებ“ და კანონი “ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა ევროკავშირის დემოკრატიულ პრინციპებსა და ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან.
3. **გაძლიერებული მონიტორინგი და ანგარიშგება:** მოწინავე მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რათა შესაძლებელი იყოს მიგრაციის ტენდენციების, თავშესაფრის განაცხადებისა და სამართლებრივი შესაბამისობის კონტროლი. სისტემას უნდა ახასიათებდეს რეალურ დროში მონაცემთა ანალიტიკისა და ანგარიშგების შესაძლებლობები, რათა მოხდეს მონაცემების ევროკავშირთან გაზიარება და ერთგულების, გამჭვირვალობისა და პრობლემის პროაქტიული გადაწყვეტისადმი აღებული პასუხისმგებლობის დემონსტრირება. .
4. **საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები:** ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიების განახლება, რათა საქართველოს მოქალაქეებმა გააცნობიერონ უვიზო მიმოსვლის პრივილეგიების ბოროტად გამოყენების სამართლებრივი და სოციალური შედეგები. თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მედია საშუალებებთან ინფორმაციის გავრცელებისა და სავიზო რეგულაციების დაცვის ხელშეწყობისთვის.
5. **პოლიტიკის კორექტირება:** მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება უკანონო ყოფნისა და დაუსაბუთებელი თავშესაფრის განაცხადების ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად. ეს მოიცავს სასაზღვრო კონტროლის გაძლიერებას, თავშესაფრის განხილვის პროცედურების გაუმჯობესებას და ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამებისადმი მხარდაჭერის გაზრდას. თანამშრომლობა



ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და კოორდინირებული სტრატეგიების შემუშავებისთვის.

6. **საზღვრების გაძლიერებული მართვა და თანამშრომლობა:** ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაზრდა ერთობლივი ოპერაციების, ქართველი ოფიცრების განლაგებითა და ევროკავშირის საზღვრის მართვის ინიციატივებში აქტიური მონაწილეობის გზით. პარტნიორობის გაძლიერება Frontex-თან ერთობლივი ოპერაციებისა და ქართველი სასაზღვრო ოფიციალური პირების სასწავლო პროგრამების რაოდენობის გაზრდით.
7. **ევროკავშირის სავიზო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა:** საქართველოს სავიზო პოლიტიკის ყოვლისმომცველი მიმოხილვის განხორციელება, რათა მოხდეს ქვეყნის სავიზო პოლიტიკის ჰარმონიზაცია ევროკავშირის პოლიტიკასთან, რომელიც მიემართება ვიზასავალდებულო მესამე ქვეყნებს. პრიორიტები ენიჭება იმ ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის შემოღებას, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან არალეგალური მიგრაციისა ან უსაფრთხოების რისკებს ევროკავშირისთვის; პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანის ეტაპობრივი მიდგომის დანერგვა ევროკავშირისთვის რეგულარული პროგრესის ანგარიშებით.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Bajrami, B. 2019. "EU Commission Rejects Netherlands' Request to Reintroduce Visas for Albania." Schengen News. Available at: <https://schengen.news/eu-commission-rejects-netherlands-request-to-reintroduce-visas-for-albania/>.
- Balakrishnan, P. 2023. "ETIAS is EU's Solution to Risks Posed by CBI Programs." Citizenship by Investment Journal. Retrieved June 15, 2024. Available at: <https://citizenshipbyinvestment.ch/index.php/2023/11/11/etias-is-eus-solution-to-risks-posed-by-cbi-programs/>.
- Bayer, L. 2024. "Why Has Georgia's 'Foreign Agents' Bill Caused So Much Protest and Anger?" The Guardian. Available at: <https://www.theguardian.com/world/article/2024/may/15/georgia-foreign-agents-bill-protest-explainer>.
- Civil.ge. "Venice Commission Opinion Advises Against Adopting Anti-LGBTQ Laws." Civil.ge, June 26, 2024. Available at: <https://civil.ge/archives/614276>.
- Council of the European Union. 2023. "Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council Amending Regulation (EU) 2018/1806 as Regards the Revision of the Suspension Mechanism (Document No. 14008/23)." Available at: <https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-14008-2023-INIT/en/pdf>.
- Dumbrava, C. 2024. "Revision of the Visa Suspension Mechanism." European Parliamentary Research Service. PE 762.332. Available at: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2024/762332/EPRS\\_BRI\(2024\)762332\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2024/762332/EPRS_BRI(2024)762332_EN.pdf).
- ETIAS. 2024. "EU Pushes for Sanctions on Georgia Over 'Foreign Agents' Law." ETIAS.com. Available at: <https://etias.com/articles/eu-sanctions-georgia-foreign-agents-law>.
- European Commission. 2023a. "Questions and Answers on the Revision of the Suspension Mechanism for Visa-Free Travel and Accompanying Report." European Commission. Available at: [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda\\_23\\_4988](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_23_4988).
- European Commission. 2023b. "Sixth Report Under the Visa Suspension Mechanism." EUR-Lex. Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52023DC0730>.
- European Parliament and Council of the European Union. 2013. "Regulation (EU) No 1289/2013 of the European Parliament and of the Council of 11 December 2013 Amending Council Regulation (EC) No 539/2001 Listing the Third Countries Whose Nationals Must Be in Possession of Visas When Crossing the External Borders and Those Whose Nationals Are Exempt from That Requirement." Official Journal of the European Union, L 347, 74–80. Available at: <http://data.europa.eu/eli/reg/2013/1289/oj>.
- European Parliament and Council of the European Union. 2018. "Regulation (EU) 2018/1806 of the European Parliament and of the Council of 14 November 2018 Listing the Third Countries Whose Nationals Must Be in Possession of Visas When Crossing the External Borders and Those Whose Nationals Are Exempt from That Requirement." Official Journal of the European Union, L 303, 39-50. Available at: <http://data.europa.eu/eli/reg/2018/1806/oj>.

Eurostat. 2024a. "Asylum Applicants by Type, Citizenship, Age and Sex - Monthly Data (Online Data Code: migr\_asyappctzm)." European Commission. Available at: [https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/migr\\_asyappctzm/default/table?lang=en](https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/migr_asyappctzm/default/table?lang=en).

Eurostat. 2024b. "First Instance Decisions on Applications by Type of Decision, Citizenship, Age and Sex - Quarterly Data." EC Data Browser. Available at: [https://doi.org/10.2908/migr\\_asydcfstq](https://doi.org/10.2908/migr_asydcfstq).

Eurostat. 2024c. "Third Country Nationals Refused Entry at the External Borders - Annual Data (Rounded)." EC Data Browser. Available at: [https://doi.org/10.2908/migr\\_eirfs](https://doi.org/10.2908/migr_eirfs).

Eurostat. 2024d. "Third Country Nationals Found to Be Illegally Present - Annual Data (Rounded)." EC Data Browser. Available at: [https://doi.org/10.2908/migr\\_eipre](https://doi.org/10.2908/migr_eipre).

Interpressnews. 2024. "Mamuka Mdinardze: Georgia Will Never Agree to the Venice Commission's Call to Allow Same-Sex Marriages in Georgia." Interpressnews, June 26, 2024. Available at: <https://www.interpressnews.ge/en/article/132326-mamuka-mdinaradze-georgia-will-never-agree-to-the-venice-commissions-call-to-allow-same-sex-marriages-in-georgia/>.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ეს პუბლიკაცია მომზადდა REUNIR პროექტის ფარგლებში. REUNIR პროექტმა მიიღო დაფინანსება ევროკავშირის ჰორიზონტ ევროპის კვლევისა და ინოვაციების პროგრამიდან საგრანტო ხელშეკრულების № 101132446 ფარგლებში. თუმცა, გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორ(ებ)ს და არ ასახავს ევროკავშირის ან ევროპის კვლევის აღმასრულებელი სააგენტოს შეხედულებებს. არც ევროკავშირი და არც მიმღები ორგანო არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მათზე.

#### დოკუმენტის ციტირების წესი:

თათია დოლიძე, „ცვლილებები უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმში: შედეგები საქართველოსთვის და რეაგირების სტრატეგია“, პოლიტიკის ნარკვევი #61, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივლისი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024

13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო

Tel: +995 599 99 02 12

Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

მეტე ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ:

[www.gip.ge](http://www.gip.ge)